

## ეძვთიმიე კოჭლამაზაშვილი

### ერთი ფსევდოოქროპირისეული ჰომილიის ატრიბუციისათვის

ჰომილეტიკურ საკითხავთა სამ ვრცელ ანთოლოგიაში – უდაბნოს, ტბეთისა და პარხლის მრავალთავებში (A 1109; A 19; A 95; პირველი მათგანი – IX-X სს. მიჯნისა; დანარჩენი ორი – X საუკუნისა) ნათლისღების საკითხავთა შორის ჩართულია რამდენიმე საკითხავი იოანე ოქროპირის სახელით.<sup>1</sup> მათ შორის ჩემი ყურადღება მიიპყრო საკითხავმა – „თქუმული წმიდისა მამისა ჩუენისა იოვანე ოქროპირისა ნათლისღებისათჳს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესისა იოვანეს მიერ იორდანესა მდინარესა“.<sup>2</sup> ეს საკითხავი დღემდე სრულად გამოქვეყნებული არ ყოფილა. დაიბეჭდა მხოლოდ მისი ის ფრაგმენტი, რომელიც უდაბნოს მრავალთავში შემორჩა [შანიძე 1994: 51-53], სპეციალურად კი დღემდე არავენ შექსებია.<sup>3</sup>

აღნიშნული საკითხავით ჩემი დაინტერესება გამოიწვია იმ ნასესხობებმა, რომლებიც ამ ჰომილიას წმ. გრიგოლ ნოსელის

1 უდაბნოს მრავალთავი (A 1109) აღწერილია ქ. შარაშიძის მიერ [შარაშიძე 1954: 93-101]; ტექსტი გამოცემულია [შანიძე 1994: 51-56]. ტბეთის ანუ სვანური მრავალთავი (A 19) აღწერა ლ. ქუთათელაძემ, პახლის მრავალთავი (A 95) – თ. ბრეგაძემ [ბრეგაძე 1973: 58-71, 361-393]. აღნიშნული საკითხავი შეტანილია აგრეთვე შორეთის მონასტრის XIII ს-ის ხელნაწერში – A 90 (229r-232v) [კეკელიძე 1957: 75; ბრეგაძე 1973: 319].

2. ხელნაწერებში ჰომილიის დასათაურება მცირედ განსხვავდება ერთმანეთისაგან: „თქუმული იოვანე ოქროპირისა ნათლისღებისათჳს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესისა (ქ შსა) იოვანეს მიერ იორდანესა მდინარესა“ (ტბეთური ხელნაწერი, 186r-190r), „თქუმული წმიდისა მამისა ჩუენისა იოვანე ოქროპირისა ნათლისღებისათჳს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესისა (ქ შსა) იორდანესა იოვანეს მიერ“ (პარხლური ხელნაწერი 130v-134v). უდაბნოს მრავალთავში საკითხავის დასათაურება დაკარგულია თავნაკლულობის გამო.

3. იოვანე ოქროპირის საკითხავს ორიოდე სიტყვით შეეხო მხოლოდ კახა ოლაძე, რომელმაც ეს საკითხავი იოვანე საბანისძის „ჰაბოს წამების“ ერთ-ერთ ლიტერატურულ წყაროდ მიიჩნია [ოლაძე 2007: 41-43].

სახელით ძველ ქართულ ხელნაწერებში შემორჩენილ ერთ ჰომილიასთან აკავშირებს. ესაა განცხადების წინა დღით საკითხავი, რომელიც დასათაურებულია ასე: „წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლ ნოსელისა, განმარტებაჲ სიტყჳსაჲ მის, ვითარმედ: ესე არს ძე ჩემი საყუარელი“.<sup>1</sup>

ტექსტების შედარებით გამოირკვა, რომ ქრისტეს ნათლისღების თემაზე შექმნილი ორი ჰომილია – გრიგოლ ნოსელის „განმარტებაჲ სიტყჳსაჲ მის“ და იოვანე ოქროპირის „ნათლისღებისათჳს“ – შეიცავენ საკმაოდ ვრცელ მონაკვეთს, რომელშიც ერთი და იგივე აზრებია გამოთქმული, ხან სიტყვასიტყვით, ხან პერიფრაზირებული ფორმით:<sup>2</sup>

იოვანე ოქროპირი	გრიგოლ ნოსელი
არა სხუაჲ არს, რომელი ჩემგან, და არა სხუაჲ არს, რომელი ქალწულისა მარიამისგან.	არა სხუაჲ არს ძე ჩემი და სხუაჲ არს ძე მარიამისი.
არა სხუაჲ არს, რომელი ქუაბსა შინა შობილ, და არა სხუაჲ არს, რომელი იორდანესა ზედა წამებულ, ესე არს ძმ ჩემი საყუარელი, რომელი მე სათნო-ვიყავ.	არა სხუაჲ არს მიწვენილი ბაგასა და არა სხუაჲ – თაყუანისცემული მოგუთაჲ... არამედ ესე არს ძე ჩემი საყუარელი.
ნუ ეძიებთ ღმრთეებით დედასა მისსა ცათა შინა, რამეთუ უდელო არს; ნუცა ეძიებთ კორციელად მამასა მისსა ქუეყანასა ზედა, რამეთუ უმამო არს.	ნუ ეძიებთ კორციელად მამასა მისსა ქუეყანასა ზედა, რამეთუ უმამო არს ქუე; ნუცა ეძიებთ ღმრთეებით დედასა მისსა ზეცათა შინა, რამეთუ უდელო არს ზე.
ნუ განაშორებთ ღმრთეებასა მისსა კაცებისა მისისაგან, და ნუცა განაყენებთ კაცებასა მისსა ღმრთეებისა მი-	ნუ განჰყოფთ ღმრთეებასა მისსა კაცებისა მისისაგან, და ნუცა იქმნებით ბოროტად განწყოფულ განუყოფ-

1 ამ ჰომილიის ტექსტი გამოცემულია ორი ხელნაწერის [A 162, 46v-51v (XII ს.); A 1170, 154v-162r (XVIII ს.)] მიხედვით: [კოჭლამაზაშვილი 2002: 3-17].

2 აღნიშნულ ნასესხობას პირველად შევეხეთ ბათუმში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე – „ბიზანტინოლოგია საქართველოში – 2“ (2007 წ. 26-28 ოქტომბერს). კონფერენციის მასალები ამჟამად დაბეჭდვის პროცესშია: [კოჭლამაზაშვილი 2009].

სისაგან, რამეთუ განუშორებელ არს შემდგომად შეერთებისა.

ნუ ვინმე ერთი ღმერთი შიშუელი და ერთი კაცი ლიტონი ეწოდის ქრისტესა, არამედ იგი თუთ თავადი ღმერთად და კაცად გრწმინი.

უკუეთუ თქუას – „რომელმან მიხილა მე, იხილა მამამ ჩემი“ – მაგისი ისმინეთ.

უკუეთუ თქუას თუ – „მე მამისა თანა ვარ და მამამ ჩემ თანა“ – მაგისი ისმინეთ.

უკუეთუ თქუას – „მამამ ჩემი უფრომს ჩემსა არს“ – კორციელებისა მისისა სახელისაებრ შეიწყნარეთ.

უკუეთუ თქუას – „ესე არს კორცი ჩემი, თქუენტუს მიცემული, და სისხლი ჩემი, თქუენტუს დათხეული მისატყვებელად ცოდვათა“, – ვითარცა გიჩუენოს თქუენ, გულისხმა-ყავთ.

უკუეთუ თქუას – „შეწუხებულ არს სული ჩემი ვიდრე სიკუდილმდე“ – კორცთა ბუნებისათჳს გულისხმა-ყავთ და არა ღმრთეებისა.

როგორც უკვე აღვნიშნავდით, ერთნაირი რიტორიკული ფორმით გადმოცემული დოგმატიკური თეზისები და ერთნაირი თანმიმდევრობით დალაგებული სახარებისეული ციტატები

ლისა მის. ნუცა უცხო-ჰყოფთ კაცებასა მისსა ღმრთეებისაგან მისისა, რამეთუ განუშორებელ და შეურევნელ არს შემდგომად შეერთებისა.

ნუცა ღმერთსა შიშუელსა, ნუცა კაცსა ლიტონსა მარტოდ იჭუნეულ ხართ ყოფად განკაცებასა შინა უფლისასა, არამედ ერთბამად ღმერთად და კაცად გრწმინი იგი.

უკუეთუ თქუას, ვითარმედ – „რომელმან მიხილა მე, იხილა მამამ ჩემი“ – მისი ისმინეთ, და გრწმინი, რამეთუ ჭეშმარიტად ეგრეთ არს საქმით, ვითარ-იგი იტყვს სიტყვთ.

უკუეთუ თქუას, ვითარმედ – „მე მამისა თანა და მამამ ჩემ თანა“ – მისი ისმინეთ.

უკუეთუ თქუას, ვითარმედ – „რომელმან მომავლინა მე, მამამან, უფრომს ჩემსა არს“, – ეგევითარი იგი კმამ და სიტყუამ მისი განგებულებასა მას განკაცებისასა მიაშვავსეთ.

უკუეთუ თქუას – „ესე არს კორცი ჩემი, თქუენტუს განტეხილი მისატყვებელად ცოდვათა“, – იხილეთ კორცი იგი მის მიერ ჩუენებული; იხილეთ და განიცადეთ თქუენგან მიღებული და თქუენტუს დაულეგნელად წარგებული და თქუენტუს განტეხილი.

უკუეთუ თქუას – „შეწუხებულ არს სული ჩემი ვიდრე სიკუდილმდე“ – შეწუხებამ იგი სულისა მისისა ვნებასა მას კორცთა მისთასა მიაჩემეთ.

შემთხვევით არ უნდა იყოს თავმოყრილი იოვანე ოქროპირისა და გრიგოლ ნოსელის სახელებით წარწერილ ჰომილიებში; არამედ ერთ-ერთი ჰომილია მეორის წყარო უნდა იყოს [კოჭლამაზა-შვილი 2009].

მაგრამ, როგორც ირკვევა, სხვადასხვა ავტორის სახელით წარწერილი ორი ჰომილიის ნათესაობა მარტო ამ ნასესხობით არ ამოიწურება: მათი შინაარსობრივი ანალიზი საშუალებას გვაძლევს, მათ ტექსტებს შორის უფრო მჭიდრო გენეტიკური კავშირი დავაფიქსიროთ, ვიდრე ერთი ავტორის მიერ მეორე ავტორის თხზულების ციტირებაა.

ამ კავშირის დადგენის მიზნით, საჭიროა, უფრო დეტალურად გავეცნოთ მათ შინაარსს. გრიგოლ ნოსელის სახელით წარწერილი ჰომილია („განმარტებაჲ სიტყვსაჲ მის, ვითარმედ: ესე არს ძე ჩემი საყუარელი“), როგორც უკვე ვთქვით, გამოქვეყნებულია [კოჭლამაზაშვილი 2002], მეორე საკითხავს კი („ნათლისღებისათვის“), რომელსაც ქართული ხელნაწერები იოვანე ოქროპირს მიაწერენ, აქვე გთავაზობთ, წინამდებარე სტატიის დანართად.<sup>1</sup>

იოვანე ოქროპირის ჰომილია შინაარსობრივად რამდენიმე მონაკვეთისაგან შედგება:

- ა) შესავალში (1-7 ქვეთავები) ავტორი გვიცხადებს სადღესასწაულო ქადაგების თემას: ესაა მაცხოვრის გამოჩინება (ე. ი. მისი, როგორც ღმრთეების, განცხადება), რაც მისი ნათლისღების დროს მოხდა. ამიტომაც მქადაგებელი მსმენელთ მოუწოდებს, გონებით მიისწრაფონ მდინარე იორდანისაკენ, სადაც იესუ ქრისტე ნათლისღებისათვის მიდის იოვანე ნათლისმცემელთან. ეს მონაკვეთი, შინაარსის მიხედვით, შეიძლება დასათაურდეს ასე: **იორდანეზე იესუ ქრისტეს მისვლა ნათლისღებისათვის იოვანე ნათლისმცემელთან**, სახარებაში კი შეესაბამება მათე 3,13.
- ბ) მომდევნო, უფრო ვრცელი მონაკვეთი აღწერს იმ შეცბუ-

<sup>1</sup> კრიტიკული ტექსტი, რომელიც წინამდებარე სტატიას ერთვის, ემყარება სამივე ზემოაღნიშნულ მრავალთავს.

ნებას, რაც, შეიძლება იოვანე წინამორბედს, როცა ნათლისღებისათვის მასთან მოსული მაცხოვარი იხილა (8-23 ქვეთავები). ჰომილიის ავტორი გადმოგვცემს, თუ რა შემადრწუნებელი იქნებოდა იოვანესათვის იმის გაფიქრებაც კი, რომ ცისა და ქვეყნის შემოქმედ მაღალ ღმერთს, მამისა და სულიწმიდის თანაარსსა და თანადიდებულს, მან, მისმა მოკრძალებულმა მსახურმა და მონამ, რომელიც მის ხამლთა ტვირთის ღირსიც არაა, მდინარე იორდანეში ნათელი უნდა სცეს! პირიქით, თვით იგი საჭიროებს მისგან განწმედასა და ნათლისცემას; თავად მისგან მოელის ზეგარდამო მადლის მიღებასა და მეორედშობილებით განახლებას!

ქრისტეს ბრძანებაზე – ნათელი-ეცა მისთვის იოვანეს, – სახარების მიხედვით, იოვანე წინამორბედი მაცხოვარს ერთადერთი მოკრძალებული ფრაზით (შეკითხვით) უწევს წინააღმდეგობას: „მე მიკმს შენგან ნათლისღება და შენ ჩემდა მოხუალა?“ (მათე 3,14). ჩვენთვის საინტერესო ჰომილიაში კი ხუთ გვერდზე მეტი ეთმობა იოვანეს პასუხს, მეტაფორასულად განვრცობილს, ქრისტოლოგიური წიადსვლებით გამდიდრებულსა და საღმრთო წერილის დამოწმებებით დასაბუთებულს.

ამ მეორე მონაკვეთს შეიძლება ვუწოდოთ **ნათლისცემლის მიერ ქრისტეს ღმრთეებისა და მეუფების აღიარება და ჭეშმარიტი ნათლისღების მომცემლის (ქრისტეს) მონათვლაზე უარის თქმა**.

გ) მესამე ნაწილში აღწერილია ქრისტეს ბრძანება იოვანესადმი (ვრცელი დასაბუთებით), რომ სწორედ მან უნდა აღასრულოს მისი ნათლისღება, რადგან ასეა განსაზღვრული საღმრთო განგებულებით. ხოლო ამას მოსდევს იოვანეს დამორჩილება და ქრისტეს ნათლისღება (24-30 ქვეთავები).

სახარება ამ ნაწილშიც ძალზე ლაკონურია და ერთადერთი ფრაზით იფარგლება: „მიუგო იესუ და ჰრქუა მას: აცადე აწ, რამეთუ ესრეთ შეუენის ჩუენდა აღსრულებად ყოველი სიმართლე. მაშინ მიუშუა მას“ (მათე 3,15), ჰომილიის ავტორი კი, წინა ნაწილების მსგავსად, ამ პასაჟსაც მოკლე ფორმულადად დამუხ-

ლული ქრისტოლოგიური მსჯელობით ავრცობს, და სამ გვერდზე მეტს უთმობს იმის დასაბუთებას, რომ სწორედ იოვანეს-მიერი ნათლისღება მაცხოვრისა გახდებოდა საფუძველი საღმრთო განგებულების აღსრულებისა – წარწყმედისა და სიკვდილისაგან მათი გამოხსნისა.

შინაარსის მიხედვით ამ ნაწილის დასათაურებაც შეგვიძლია: **მაცხოვრის ბრძანების შესაბამისად, იოვანეს მიერ საღმრთო განგებულების აღსრულება (ქრისტეს ნათლისღება)**.

დ) ბოლო, მეოთხე ნაწილი (30-40 ქვეთავები) ეთმობა მეტაფორასულ გადმოცემას სახარების შემდეგი მუხლებისას: „და ნათელ-ილო იესუ, და მეყსეულად აღმოვიდა რაჲ წყლისა მისგან, და, აჰა, განეხუნეს მას ცანი, და იხილა სული ღმრთისაჲ გარდამომავალი, ვითარცა ტრედი, მოვიდა და დაადგრა მას ზედა. და კმაჲ იყო ზეცით და თქუა: ესე არს ძე ჩემი საყუარელი, რომელი მე სათნო-ვიყავ“ (მათე 3,16-17). ეს ნაწილი, რომელიც შეიძლება დასათაურდეს – **„ცათა განხუმა, ტრედისსახედ გადმოსვლა საღმრთო სულისა, და მამა-ღმერთის მიერ საწამებელი (დასამოწმებელი) სიტყვების წარმოთქმა“** (ვეულისხმობთ მამის მიერ ქრისტეს ღმრთეების დამოწმებას მოკლე ფორმულით: „ესე არს ძე ჩემი საყუარელი, რომელი მე სათნო-ვიყავ“) – წინა ნაწილების მსგავსად, რამდენადმე გავრცობილია ქრისტოლოგიური ფორმულების დართვით, მაგრამ არა იმ დოზით, რომლითაც წინა ნაწილების გავრცობა მოხდა! ამასთან, ცათა განხუმისა და საღმრთო სულის გადმოსვლის თემას („ტრედისსახედ“!) სავსებით არ შეჰხებია გავრცობა, ხოლო მამა-ღმერთის „საწამებელი სიტყვის“ გავრცობაც არაა იმ მასშტაბისა, რომლითაც წინა მუხლები განავრცო ავტორმა (ზომით ორჯერ ნაკლებია თითოეულ მათგანზე და მხოლოდ ორ გვერდს მოიცავს), თუმცა იგი თავისი მნიშვნელობით უფრო მეტასპარეზს იძლეოდა მეტაფორაზირებისათვის.

ასეთია სქემა ნათლისღების თემაზე შექმნილი იმ ჰომილიისა, რომელსაც ქართული „მრავალთავები“ წმ. იოვანე ოქროპირს აკუთვნებენ.

ახლა ნახოთ, რას გვაუწყებს მეორე ჰომილის ავტორი (ასეთად წმ. გრიგოლ ნოსელს მოიხსენიებენ ქართული ხელნაწერები):

ამ საკითხავის სათაურივე იუწყება, თუ რა შინაარსი აქვს მას: „განმარტებაა სიტყვსაჲ მის, ვითარმედ: ესე არს ძე ჩემი საყუარელი“. საინტერესოა, რომ მამა-ღმერთის „საწამებელი სიტყვის“ განმარტება, რომელსაც იოვანე ოქროპირის ჰომილიაში მიზერული ადგილი ეთმობოდა, აქ მთელ საკითხავს მოიცავს. ინტერესი უფრო მატულობს იმით, რომ იოვანე ოქროპირის ჰომილიის ეს ნაწილი ტექსტობრივ პარალელებს პოულობს გრიგოლ ნოსელის ჰომილიასთან (ურთიერთშემხვედრი ადგილები ზემოთ უკვე მოვიყვანეთ, ორ სვეტად). ვნახოთ, რითია გამოწვეული ეს აშკარა ტექსტობრივი ნასესხობა:

ჰომილიის დასაწყისში წმ. გრიგოლ ნოსელი გვაუწყებს: „წყალობისმოყუარემან ამან მამამან, გარდამატებულებითა თქუენდა-მომართისა წყალობისაჲთა, მომიძღუანა მე ნე შტი პირველ და შთომილისა სიტყვსაჲ, და ჩემ მიერ, ქმნილისა მის წილ თქუენ მიერ მისსა-მიმართისა ქებისა, მოგაგო თქუენ სასყიდელად აწინდელი ესე მეტყუელებაჲ... ხოლო მე სიხარულით შევიწყნარე ბრძანებაჲ და კუალადცა მინდობითა კმათა აღმოუტევებ თქუენდა მომართ და გულსმოდგინებით მოსწრაფე ვარ მორჩილებად მისსა, რომელი-იგი ბრძანებს, რაჲთა მივსცე პირველ დაწყებულსა მას სიტყუასა აღსასრულიცა“ [კოჭლამაზაშვილი 2002: 3].

როგორც ჰომილიის შესავლიდან ჩანს, თურმე მას წინ უძღოდა ავტორის მიერ „პირველ (ე. ი. ადრე, უწინ) დაწყებული“ რაღაც „სიტყვა“ (საუბარი), რომელიც, ჩვენთვის უცნობი მიზეზით, მას ვერ გაუმთავრებია. ამჟამად კი „წყალობისმოყარე მამას“ (მამა ღმერთს), ვისი სიტყვების განმარტებასაც ეძღვნება ეს ახალი ჰომილია, მისთვის შთაუგონებია („მიუძღუანებია“) „ნეშტი პირველ და შთომილისა სიტყვსაჲ“ (ე. ი. პირველი საუბრისას მორჩენილი ნაწილი), და ამიტომაც ისწრაფის ავტორი, რათა ადრე დაწყებულ სიტყვას აღსასრულიც მისცეს.

მამასადამე, ჰომილია – „განმარტებაა სიტყვსაჲ მის, ვი-

თარმედ: ესე არს ძე ჩემი საყუარელი“ – მეორე ნაწილია, გაგრძელებაა იმ თემისა, რაზედაც ავტორს მანამდე უსაუბრია.

რა სიტყვა უთქვამს ავტორს ამ ჰომილიის წარმოთქმამდე? – ამას თავადვე განგვიმარტავს იქვე: „რამეთუ მე პირველ გარდასრულსა მას კურიაკესა დაწყებითა მით სიტყვსაჲთა (ა) გირუნე თქუენ ქრისტე, მონათა თანა გარდამოსრული და ნათლისღებად ნათლისმცემელისა მიმართ მოსრული; ამისსა შემდგომად – (ბ) ნათლისმცემელი, მეცნიერ-ქმნული მეუფისაჲ, და მლტოლველი და მჯმნელი არა-მიცემად ნათლისცემისაჲ მომცემელსა მას ნათლისღებისაჲ; და კუალად უკუანამსკენელ – (გ) აღმასრულებელი განგებულებისაჲ, ბრძანებისა მისთვის მაცხოვრისა, ყოვლისავე ჯეროვნად განმგებელისა. ამისსა შემდგომად (დ) გამოგისახე თქუენ წერით ღმერთი და მამაჲ უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი ზეცით-გარდამო მკობარე: ესე არს ძე ჩემი საყუარელი, რომელი მე სათნო-ვიყავ. და ვიდრე წამებასა ამას სიტყვსა ამის საწამებელისაჲ მოვიწეოდე, გარდამოვკედ საკურთხეველით და დავაყენე საგრობაჲ იგი სიტყვსაჲ. მნებაჲს უკუე დღეს კუალად მასვე დაწყებად, რომლისა-იგი მაშინ შეიწრებისაგან ვიძულე დატევებად, და ესრეთ ურთიერთას შევაწყო ჯაჭვ იგი სიტყვსაჲ, რაჲთა მტკიცედ ჰყრობითა მისითა აღვიწინეთ მის მიერ მისსა, რომლისა-მიერ-იგი ესრეთ კელოვნად გამოიპირა ნაკურცხალთა მიერ სულისათა, მოქმედებითა მამისაჲთა“ [კოჭლამაზაშვილი 2002: 3-4]

მამასადამე, ავტორი გვაცნობს წინა კვირას („პირველ გარდასრულსა მას კურიაკესა“) მის მიერ წარმოთქმული საუბრის სქემას, რომელიც ზედმიწევნით ემთხვევა „მრავალთავეში“ შეტანილი ფსევდოოქროპირიული ჰომილიის სქემას. თვალსაჩინოებისათვის წმ. გრიგოლ ნოსელისეული აღწერილობა მის მიერ „პირველ გარდასრულსა მას კურიაკესა“ წარმოთქმული საუბრისა ჩვენ აქ ანბანური ნუმერაციით დავანაწევრეთ, რათა უფრო აშკარად გამოჩენილიყო მისი იდენტურობა ფსევდოოქროპირიული ჰომილიასთან. ამ სქემის მიხედვით, მართლაც, ავტორს ჯერ უსაუბრია (ა) ნათლისღებისათვის იოვანე ნათლისმცემელთან იესუ

ქრისტეს მისვლაზე. შემდეგ (ბ) ნათლისმცემლის „ლტოლვასა და ჯმნაზე“, ე. ი. იმაზე, თუ როგორ თქვა მან უარი ქრისტეს მონათვლაზე, რომელიც, მისი რწმენით, თავადვე იყო მომცემელი ჭეშმარიტი ნათლისღებისა. ამას მოსდევს (გ) იოვანეს მიერ ქრისტეს ბრძანების შესრულება (ე. ი. მისი ნათლისცემა), მას შემდეგ, რაც ქრისტემ აუწყა განგებულების საიდუმლო. დაბოლოს, (დ) ღმერთისა და მამის „კობაა“ ზეცით: „ესე არს ძე ჩემი საყუარელი, რომელი მე სათნო-ვიყავ“.

იმის შემდეგ, რაც ავტორმა გვაუწყა წინა კვირას წარმოთქმული ჰომილიის სქემა, მამა-ღმერთის „საწამებელი სიტყვის“ ჩათვლით (რითაც იგი აბსოლუტურად ემთხვევა ფსევდოლოქროპირისეულ ჰომილიას), მოგვითხრობს: „ვიდრე წამებასა ამას სიტყვას ამის საწამებელისასა მოვიწოდებ, გარდამოვკედ საკურთხეველით და დავაყენე საგრობა იგი სიტყვასა“. ესე იგი, როდესაც „საწამებელი სიტყვის“ განმარტებად მიუღწევია, შეუწყვეტია ქადაგება (სიტყვიერი მოგზაურობა ანუ „საგრობა“ ღმერთისმეტყველების სამყაროში) და საკურთხეველიდან ჩამოსულა.

ქადაგების დაუმთავრებლად დატოვების მიზეზი, როგორც ავტორი გვაუწყებს, ყოფილა რაღაც „შეიწრება“ (შევიწროება, მაიძულებელი გარემოება), რომელსაც თურმე უძულებია იგი, სიტყვა შუაზე გაეწყვიტა და აღარ გაეგრცო საუბარი დარჩენილ თემაზე – მამა-ღმერთის „საწამებელი სიტყვის“ განმარტებაზე. ახლა კი ავტორს განუზრახავს, ისევ იმავე თემის გამოწვლილვას დაუბრუნდეს და საუბარი წამოიწყოს კვლავ მამა-ღმერთის „საწამებელი სიტყვის“ მეტაფრაზირებისა და თეოლოგიური განვრცობისათვის, რისი დატოვებაც წინა კვირას შემთხვეულმა რომელიღაც „შეიწრებამ“ აიძულა.

ვფიქრობთ, სიტუაცია სავსებით ნათელია: ფსევდოლოქროპირისეული ქადაგება – სწორედ ის უსრულად დატოვებული ჰომილიაა, რომლის შესახებაც გვაუწყებს წმ. გრიგოლ ნოსელი მამის „საწამებელი სიტყვის“ („ესე არს ძე ჩემი“-ს) განმარტების შესავალში. ამ თვალსაზრისის უტყუარი მოწმობაა წმ. გრი-

გოლ ნოსელის ჰომილიის შესავალში მოცემული სქემატური აღწერა წინა კვირის ჰომილიისა და ამ სქემის ზედმიწევნითი დამთხვევა ფსევდოლოქროპირისეულ ჰომილიასთან.

მაშასადამე, თუ „ესე არს ძე ჩემი საყუარელი“-ს განმარტებისადმი მიძღვნილი ჰომილიის ავტორი ნამდვილად წმ. გრიგოლ ნოსელია (როგორც ირწმუნებიან ქართული ხელნაწერები), მაშინ ზემოხსენებული ფსევდოლოქროპირისეული ჰომილიაც უეჭველად წმ. გრიგოლ ნოსელს უნდა მიეკუთვნოს.

შეიძლება დაისვას კითხვა: მართალია, სავსებით ემთხვევა ერთმანეთს სქემები, ერთი მხრივ ფსევდოლოქროპირისეული ჰომილიისა და მეორე მხრივ წმ. გრიგოლ ნოსელის მიერ აღწერილი საუბრისა, რომელიც მას თავად წარმოუთქვამს მამის „საწამებელი სიტყვის“ განმარტებისადმი მიძღვნილი საუბრის წინა კვირას (როგორც შესავალი და პირველი ნაწილი ამ საუბრისა), მაგრამ მარტო სქემების დამთხვევა ხომ ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, თითქოს უთუოდ ერთსა და იმავე ჰომილიაზე იყოს საუბარი: იქნებ ამ სქემაზე გაწყობილი ჰომილია ნოსელმაც წარმოთქვა და მისგან დამოუკიდებლად – ოქროპირმაც; მით უფრო, რომ ეს სქემა საკუთრივ არც ერთი ავტორის კუთვნილებაა და არც მეორისა; იგი სახარებისეული თხრობიდან მომდინარეობს!

რასაკვირველია, მარტო სქემების დამთხვევით შეუძლებელი იქნებოდა გაიგივება ფსევდოლოქროპირისეული ჰომილიისა და იმ ჰომილიისა, რომელსაც თავის ქმნილებად აცხადებს წმ. გრიგოლ ნოსელი (რომელიც ერთი კვირით ადრე წარმოუთქვამს მანამდე, სანამ წარმოთქვამდა განმარტებას სიტყვისა: „ესე არს ძე ჩემი საყუარელი“), მაგრამ მათი გაიგივება, სხვა თუ არაფერი, იმითაც შეიძლებოდა, რომ ღოგმატური აქცენტებით დატვირთული ფრაზები ერთი და იმავე თანმიმდევრობით მეორდება ფსევდოლოქროპირისეულ ჰომილიასა და გრიგოლ ნოსელის „ესე არს ძე ჩემი“-ს განმარტებაში; ამ დამთხვევებით კიდევ უფრო აშკარა ხდება, რომ წმ. გრიგოლს ჯერ ის ქადაგება წარმოუთქვამს, რომელიც ქართულ „მრავალთავეში“ წმ. იოვანე ოქროპირს მიეწერება,

შემდეგ კი, რაკი ამ ქადაგებაში მოცემული განმარტება ქრისტეს ნათლისღების შესახებ სახარებისეული თხრობისა თავადვე არ აკმაყოფილებდა (სახელდობრ, აჩქარების გამო ბოლომდე ვერ მიუყვანია ამ განმარტების ბოლო ნაწილი – მამის „საწამებელი სიტყვის“, „ესე არს ძე ჩემი“-ს განხილვა), ამიტომაც ერთი კვირის შემდეგ ამ „საწამებელი სიტყვისადმი“ საგანგებო საუბარი მიუძღვნია, და მასში გამოუყენებია ის ფრაზებიც (თითქმის ზედმიწევნითი თანმიმდევრობით), რომლებიც წინა კვირას უკვე ნათქვამი ჰქონდა.

საერთო ფრაზები, რომლებიც ამ ჰომილიებში ზემოთ დავადასტურეთ (ნოსელის პირველი ჰომილიისა და ფსევდოპროპირისეული ჰომილიის სქემატური იდენტურობის გათვალისწინებით), უკვე საკმარის საბუთად შეიძლება ჩაგვეთვალოს ამ ჰომილიების სრული იგივეობის დასასაბუთებლად, და, მაშასადამე, წმ. გრიგოლ ნოსელის ავტორობის დასამტკიცებლად (ორივე მათგანის წმ. გრიგოლ ნოსელისადმი მისაკუთვნებლად), მაგრამ ტექსტის დოკუმენტოლოგიურმა შესწავლამ გამოავლინა კიდევ ერთი ნიშანი, რომლითაც შეგვიძლია უფრო მეტი დაბეჯითებით ვამტკიცოთ წმ. გრიგოლ ნოსელის ავტორობა:

ფსევდოპროპირისეული ჰომილიის მესამე ნაწილში (24-30 ქვეთავები), როგორც ვთქვით, აღწერილია ქრისტეს-მიერი დასაბუთება, რომლითაც მან დაარწმუნა იოვანე ნათლისმცემელი, რომ „ყოველი სიმართლის“ ანუ საღმრთო განგებულების აღსრულებისათვის საჭირო იყო, იოვანეს დაედოთ თავისი მოკრძალება და ნათელი-ეცა თავად ნათლის მომცემელისათვის. ჰომილიის ამ ნაწილში მრავალი საბუთია წარმოდგენილი იოვანეს მიერ ქრისტეს ნათლისცემის მიზანშეწონილებისათვის („რამეთუ შჯულისმდებელი ვარ და ძმ შჯულისმდებელისაჲ“, „ჯერ-არს ჩემდა აღსრულებად ყოველი წესი და მერმე წინა-დადებად ყოველთა პატივისა ჩემისა მოძღურებაჲ“; „ჯერ-არს ჩემდა აღსრულებად შჯული და მერმე მიცემად მადლი“; „ჯერ-არს ჩემდა განქარვებად აჩრდილი და მერმე ზედა-შემოღებად ჭეშმარიტებაჲ...“), მაგრამ წინა წამოწეული ერთი, ჩვენი აზრით ყველაზე

არსებითი საბუთი, რომელიც ამ ნაწილის პირველსავე, 24-ე ქვეთავშია მოცემული და გავრცობილია მომდევნო (25-ე) ქვეთავში: „აცადე და მიუშუ, ნათლისმცემელო, ჟამსა, – მიმართავს იოვანეს მაცხოვარი, – და სახელისა ჩემისა დუმილი ისწავე; [ისწავე] საქმე და ვითარსახედ მნებავს; ისწავე მსახურებაჲ, რომლისათვის-იგი მოსრულ ვარ, და მიუტევე ნებასა თვისსა, და ნულარა ჰქადაგებ ღმრთეებასა ჩემსა და მეუფებასა ენითა შენითა: ნუ უკუე გულისხმა-ყოს მაცთურმან მან და ევლთოდის და დასცხრეს განზრახვისა მისგან, რომელი აქუს ჩემთვის; უტევე იგი და მოვიდეს ჩემდა და წინააღდგომით მიილოს ჩემგან წყლულებაჲ სრული“.

როგორც ჩანს, იოვანეს-მიერი ნათლისღება ქრისტეს თავისი „მსახურების“ (მისიის) დასაბამად მიაჩნია, და ამ მსახურების ფონად რატომღაც თავისი ღმრთეებისა და მეუფების დაფარვას ასახელებს: „ნულარა ჰქადაგებ ღმრთეებასა ჩემსა და მეუფებასა ენითა შენითა“; „სახელისა ჩემისა დუმილი ისწავე“, – ამცნებს იგი იოვანეს. იოვანეს მიერ ქრისტეს ღმრთეების ქადაგებად კი შეიძლება მივიჩნიოთ მისი გამონათქვამები:

„აჰა ტარიგი ღმრთისაჲ, რომელმან აიხუნეს ცოდვანი სოფლისანი. ესე არს, რომლისათვის-იგი ვთქუ: შემდგომად ჩემსა მოვალს კაცი, რომელი პირველ ჩემსა იყო, რამეთუ უპირატეს ჩემსა არს“ (იოვანე 1, 29-30);

„იგი არს, რომელმან ნათელ-გცეს სულითა წმიდითა; და მე ვიხილე და ვწამე, რამეთუ ესე არს ძე ღმრთისაჲ“ (იოვანე 1, 33-34);

„მე უკუე ნათელ-გცემ თქუენ წყლითა სინანულად. ხოლო რომელი შემდგომად ჩემსა მოვალს, უძლიერეს ჩემსა არს, რომლისა ვერ შემძლებელ ვარ კამლთა მისთა ტურთვად; მან ნათელ-გცეს თქუენ სულითა წმიდითა და ცეცხლითა“ (მათე 3, 11);

დაბოლოს, „მე მიქმს შენ მიერ ნათლისღებაჲ, და შენ ჩემდა მოხუალა?“ (მათე 3, 14).

აი, ამგვარ გამონათქვამებში მოითხოვს სიფრთხილეს მაცხოვარი იოანესგან; ნულარ ჰქადაგებ ჩემს ღმრთეებას (ღმერთობას) და ჩემი სახელის დუმილი ისწავეო.

რატომ?

იქვე განმარტავს ქრისტე: „ნ უ უ კ უ ე გ უ ლ ი ს ხ მ ა - ყ ო ს მ ა ც თ უ რ მ ა ნ მ ა ნ და ე ვ ლ ტ ო დ ი ს და და ს ც ხ რ ე ს გან ზ რ ა ხ ვ ი ს ა მ ი ს გ ა ნ, რ ო მ ე ლ ი ა ქ უ ს ჩ ე მ თ უ ს“; ე. ი. ვაითუ მიხვდეს მაცთური (სატანა) და ხელი აიღოს იმ განზრახვაზე, რაც ჩემს მიმართ აქვსო; მიუშვი, რათა აღასრულოს თავისი საწადელი (ჩემი მოკვლა), და სამაგიეროდ ჩემგან სრული წყლულება (ე. ი. საბოლოო დამარცხება) მიიღოსო.

მაშასადამე, მქადაგებლის თვალსაზრისით, იმისათვის, რათა ქრისტეს მაცხოვარებითი მისია წარმატებით დაგვირგვინებულიყო, საჭირო იყო, სატანას არ სცოდნოდა, რომ იესუ ქრისტე – განზოციელებული ძე ღმრთისაა; იგი უბრალო კაცი უნდა ჰგონებოდა, რომელიც თავისი წმინდა ცხოვრებით და ღმრთისმსახურებით არა მარტო დიდებულ სასწაულებსა და კურნებას იქმნოდა, არამედ შებრძოლებას უბედავდა თვით მას, სატანას, და ღმრთის შეწევნით არაერთხელ გაუძევებია კიდეც თავისი სამყოფელიდან (იხ. ეშმაკეულთა განკურნება – მათე 8,16; 8, 28-32; 9, 32-34; 12,22; 17,18 და სხვ.). სატანას, რასაკვირველია, განსაკუთრებული სიძულვილი ჰქონდა ამ წმიდა კაცისა და მუდამ მის დალუპვას ცდილობდა, და მისი დამარცხება სავსებით შესაძლებელიც ეგონა, რადგანაც მთელ კაცთა მოდგმას იყო დაუფლებული, და, რაც არ უნდა სიწმიდით ეცხოვრა, მისი შეცდენისა და დალუპვის იმედი მაინც ჰქონდა.

სატანას რომ სცოდნოდა ქრისტეს ღმრთეება, ანუ მისი საღმრთო ბუნება, არათუ შებრძოლებასა და დალუპვის მცდელობას, არამედ მიხლოებასაც კი ვერ გაუბედავდა, რადგან წინასწარვე დარწმუნებული იქნებოდა თავის დამარცხებაში.

საღმრთო განგებულება მიზნად ისახავდა კაცთა გამოხსნას ცოდვისა და სიკვდილისაგან. ამისათვის კი ერთადერთი სამართლებრივი გზა არსებობდა: სატანის ძალადობისაგან კაცს თავადვე უნდა გამოეხსნა თავი. ღმერთი უხეშად რომ ჩარეულიყო ადამიანისა და სატანის ურთიერთობაში (ე. ი. კაცის მიმართ მიკერძოება გამოეჩინა), სატანას შეეძლებოდა, უსამართლობის

მსხვერპლად წარმოეჩინა თავი და მორალურად გამართლებულიყო; ამიტომაც ღმრთმა კაცთა მოდგმის ხსნა თავად კაცს მიანდო, ანუ განკაცებულ ძე ღმრთისას – იესუ ქრისტეს, რადგანაც ლიტონი კაცისათვის ამ დიდი მისიის შესრულება შეუძლებელი იქნებოდა.

უბრალო კაცი რომ მართლაც ვერ შეძლებდა სატანის ძლევას, ამის საფუძვლიანი იმედი ჰქონდა თავად სატანას, და ამით გაამაყებულს, თავი უძლეველად წარმოედგინა, მით უფრო, რომ იცოდა ღმრთის სამართლიანობა და მიუკერძოებლობა, და ისიც, რომ კაცისა და სატანის პირად დაპირისპირებაში იგი უხეშად არ ჩაერეოდა.

რაკი სატანის ძლევა ღმრთის შეწევნის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა კაცისათვის, სწორედ ამიტომაც შეიმოსა ძე ღმრთისამ კაცობრივი ბუნება, როგორც სამოსელი. ამ სამოსლით შემოსილ ღმრთეებას სატანა ვეღარ იცნობდა; იგი უბრალო კაცი ეგონებოდა, ვერ განჭვრეტდა მის ღმერთკაცობას, რადგანაც ყოვლად წარმოუდგენელი იყო, რომ სამყაროს შემოქმედი და დაუბადებელი არსი იმდენად დამდაბლდებოდა, რომ ხორციელი სახით სჩვენებოდა ადამიანებს.

ავტორის თვალსაზრისით, სატანას შეეცდენდა კაცობრივი ხორცის სამოსელი, რომლითაც ძე ღმრთის იყო შემოსილი; უბრალო კაცად მიიჩნევდა იგი ქრისტეს, შებრძოლებასაც გაუბედავდა, და ამ შებრძოლებით თავადვე შეიმუსრებოდა. სწორედ ამის შედეგად განთავისუფლდებოდა კაცთა ნათესავი სატანის ტყვეობისაგან. მაშასადამე, რომ არა კაცობრივი სამოსლით სატანის შეეცდენა, სხვაგვარად კაცთა მოდგმის ხსნა შეუძლებელი იყო: სატანა შიშველ (ცხადად გამოჩენილ) ღმერთს შებრძოლებას ვერ გაუბედავდა და მაცხოვარებითი დანიშნულების ბრძოლაც ვერ შედგებოდა.

კაცობრივი ბუნების სამოსელით სატანის შეეცდენა სამართლებრივი თვალსაზრისით სავსებით მისაღები აქტი იყო, რადგანაც ეს იყო ღირსეული მისაგებელი (საზღაური) სატანის მაცდურობაზე (სწორედ მაცდურობა იყო სატანის ია-

რალი, რომლითაც შეაცდინა მან ადამიანი და დალუპვის გზაზე დააყენა. იხ. დაბ. 3,1-6).

აი, რატომ სურდა მოსანათლავად მისულ ქრისტეს, დაფარულიყო მისი ღმრთეება ანუ საღმრთო ბუნება.

თავად ნათლისღება ქრისტესი, მქადაგებლის აზრით, ქრისტეს ღმრთეების დაფარვას ისახავდა მიზნად, რადგანაც უპირატესია ის, ვინც ნათელს-სცემს, და უმდაბლესია ის, ვინც ნათელს-იღებს; ნათლისღებით გამოჩნდებოდა, თითქოს ქრისტე არათუ არაა ღმერთი, არამედ იოანე ნათლისმცემელზე უფრო მდაბალი, ლიტონი კაცია. ამიტომაც ათქმევინებს იგი გაკვირვებულ იოანეს:

„მდაბალი იგი დიდისაგან იკურთხის და არა თუ დიდი იგი – მდაბლისაგან! გლახაკი იგი მდიდრისაგან მოიღებ და არა თუ მდიდარი იგი – გლახაკისაგან! სნეული იგი მკურნალისაგან განიკურნის, და არა თუ მკურნალი – სნეულისაგან! და რაღა-მე უფროსდა შექმნილი იგი შემოქმედისაგან დამტკიცების და არა თუ შემოქმედი – შექმნილისაგან! მე შენგან მიკმს ნათლისღება, და შენ ჩემდა მოხუალა?“ (9-10).

კაცთა ხსნის განგებულების წარმატებისთვის მისი საიდუმლოდ აღსრულება რომ იყო საჭირო, და, ამ გეგმის თანახმად, ქრისტეს კაცობრივი სამოსლით შეცდენილი „მკლომი“ (სატანა) თავის ნებაზე რომ უნდა მიშვებულიყო, – ამას საცნაურ-ჰყოფს ქრისტეს მიმართვა იოანე ნათლისმცემლისადმი:

„მაცადე მე აღსრულებად საქმისა, რომლისათვის მოსრულ ვარ, რამეთუ საიდუმლოდ არს დაფარული, რამათა ამას დღესა იორდანეს აღსრულოს ჩემთვის და ყოველთა ჩემ-კერძოთათვის. საიდუმლოდ არს დაფარული, არათუ ნება ჩემი აღსრულებად, არამედ განკურნებისათვის წყლულებათა კაცთადასა. საიდუმლოდ არს დიდისა განზრახვისა, ემბაზისაგან, წინამორბედო, და მქადაგებელი წინაცნობა არს ამას შინა წყალთა მიერ ცხოველსმყოფელი კაცთა მეორედ შობად მიცემად. მიუტევე მკლომი იგი ნებასა თვისსა“ (25).

მაშასადამე, ფსევდოოქროპირისეულ ჰომილიაში ამკარადაა გამოვლენილი მაცდურის შეცდენის იდეა, რაც, როგორც ცნობილია, საკუთრივ წმ. გრიგოლ ნოსელის მიერაა შემოტანილი ღმრთისმეტყველებაში. სახელდობრ, ამ იდეის განვითარებას ვხედავთ „დიდ კატექეტურ სიტყვაში“:

„ვინამთგან არა აქუნდა ბუნებად წინააღმდეგომსა მას ძალსა<sup>1</sup> შიშულად წინაგანწყობად ღმრთეებისა, რამათა ადვილ იქმნას საბრძოლელად, რომელი იგი ეძიებდა ჩუენთვის საქსარსა, საფარველთა ბუნებისა ჩუენისათა დაიფარა ღმრთეებად, რამათა მსგავსად ნაყროვანთა მათ თევზთადასა შესთქრეს მატლსა მას კორცთასა და განეწონოს სამჭედური იგი ღმრთეებისა, და ესრეთ, მიეხლოს რამ სიკუდილი ცხორებასა და ბნელი ნათელსა, ორკერძოვე განილიოს ორკერძოდას მისგან ძლიერებისა საღმრთოდასა, რამეთუ ვერ ძალ-უც ნათლისა წინააღმდეგობა ბნელსა, და ვერცა ცხორებისა – სიკუდილსა“.  
[კოჭლამაზაშვილი 2008: 122]

ავტორის სიტყვით, ცოდვისა და სიკვდილისაგან კაცთა მოდგმის გამოსახსნელად და ეშმაკის ძლიერების დასათრგუნავად ძე ღმრთისამ ბრძნულად განაგო თავისი განკაცება, რითაც მტრის მძლავრობა (ძალადობა) უნდა დასრულებულიყო და სიკვდილი დათრგუნულიყო. კაცობრივი საფარველის გარეშე რომ დარჩენილიყო ძე ღმრთისა, მას, ცხადად გამოჩენილს, სატანა მოერიდებოდა, რადგანაც მასთან შებრძოლების ძალა არ გააჩნდა. მაგრამ როდესაც მას იხილავდა კაცობრივი ბუნების საფარველში, კაცობრივი ბუნების სისუსტე გააბედვინებდა შებრძოლებას, რადგან მანამდე ბევრი კაცი ჰყავდა დამარცხებული; ეკვეთებოდა მას და შეიმუსრებოდა. ამრიგად, კაცობრივი ბუნება შეიქნებოდა იმის მსგავს სატყუარად, რომელსაც მეთევზეები ანკესზე წამოაცვამენ ხოლმე და თევზებს გადაუგდებენ, რათა ნაყროვანი თევზი ებგეროს მას და გადასანსლოს, და მასთან ერთად ანკესის კაუჭით მონადირებულ იქნას [კოჭლამაზაშვილი 2008: 62].

„დიდი კატექეტური სიტყვის“ ავტორი რამდენჯერმე უსვამს ხაზს, რომ ასეთი ცთუნება მაცთურისა – საღმრთო სიბრძნისა და სიმართლის გამოვლინება იყო,<sup>2</sup> რითაც შესაძლებელი შეიქნა კაცთა მოდგმის ცხოვნება და სიკვდილის საბოლოო განქარება.

1 „წინააღმდეგომ ძალად“ ავტორი მოიხსენებს სატანას, რომლის სახელი ებრაულად („სატან“) სწორედ „წინააღმდეგომს“ ნიშნავს.

2 თხზულების ერთ-ერთი თავი (XXVI) ეძღვნება იმის გამოძიებას, რამდენად მართებულია, რომ ღმერთს მივაწეროთ ვისიმე ცთუნება (თუნდაც სატანისა!), რადგანაც ეს საქმე რამდენადმე ტყუილსა და სივერაგეს წააგავ-



როგორც ვხედავთ, ფსევდოლოქროპირისეულ ჰომილიაში გამოვლენილი იდეა მაცდურის შეცდენისა ზედმიწევ-

სო, რადგანაც ყველა, ვინც ვისმე აცთუნებს, ისე მოქმედებს, რომ მტერს რეალური საფრთხე არ აგრძნობინოს; სხვა სახით ერვენოს და სხვა სახით ხელთ-იგდოს მტერი. ქრისტეც ზომ ასე მოიქცა: აშკარად, საღმრთო ძლიერებით კი არ ერვენა მტერს, არამედ – კაცობის საფარველით დაფარული, და ამით შეაცდინა მაცთური, რასაც მისი შეპყრობა და დაცემა მოჰყვა. მაგრამ, ავტორის აზრით, მაცთურის შეცდენა ვერაგობად და სიცრუედ არ უნდა ჩაითვალოს. მაცთურ კაცთა სივერაგესა და ღმრთის მიერ სატანის შეცდენას შორის ავტორი ისეთსავე განსხვავებას ხედავს, როგორცაა სამკურნალო წამლისა და საწამლავის დამამზადებელ მეწამლეთა შორის. გარეგნულად ორივე მათგანი ერთსა და იმავეს აკეთებს – წამალს ამზადებს, მაგრამ ერთი მათგანის მიზანია კაცთა მოწამვლა, რაც დამგობის ღირსია, ხოლო მეორისა – კაცთა განკურნება, რაც ქებას იმსახურებს. ავტორის სიტყვით, მაცთურის შეცდენა საღმრთო სიბრძნის გამოხატულებაცაა და სიმართლისაც, რადგანაც სიმართლე – ღირსებისამებრ მიგებაა თითოეულისადმი, ხოლო სიბრძნე, – რათა მართებულ მსჯავრს არ განაშოროს კაცთმოყვარება (ე. ი. შეიწყალოს მსჯავრდადებული). ღმრთის სიმართლე იმაში ჩანს, რომ მაცთურს, რომელმაც თავდაპირველად ხორციელი გულისთქმის საცთურით აცთუნა ადამი, მიეზლო სანაცვლო ცთუნება, ხოლო სიბრძნე და ქველისმოქმედება ღმრთისა გამოჩნდა მსჯავრდადებულისა და დასჯილის განწმედითა და განკურნებით:

სატანა რომ ქრისტეს მიერ ჯოჯოხეთის ცეცხლში იქნება ჩაგდებული, – ეს, ავტორის მტკიცებით, მის (სატანის) საბოლოო წარწყმედასა და დაღუპვას არ ნიშნავს; პირიქით, ეს სატანჯველი სამკურნალო საშუალებად გამოადგება და საბოლოოდ მის სასიკეთოდ შემობრუნდება. ისევე, როგორც პატიოსან ლითონში არსებულ მინარევებს ცეცხლით განწმედენ, ასევე სატანაში ჩაბუდებული ბოროტება დაიწვევა ხანგრძლივი ცეცხლითა და ტანჯვით, რომელიც საღმრთო სამსჯავროთი მიეზღვება; ისევე, როგორც ბრძმედის ცეცხლით ოქროსაგან მინარევები გამოცალკევდება და ოქრო განიწმიდება და განიკურნება, ასევე განიწმიდება სატანა, და როდესაც გაიცნობიერებს, რომ სატანჯველი, რომელშიც იგი ქრისტემ ჩააგდო, მისდაში გამოჩენილი მტრობა კი არა, ქველმოქმედებაა, საეჭვოდ აღარ მოეჩვენება ღმრთის მოქმედებათა სამართლიანობა და მაცხოვარებითობა.

ისინი, ვისაც მკურნალობისას ან გაჰკვეთენ, ან მოუწვავენ მტკივან ადგილებს, ტკივილის სიმძიმის გამო იქნებ შემოსწყნრენ ექიმს, მაგრამ თუ ამ მტკივნეული მკურნალობის შედეგად ისინი განიკურნებიან, და იარების მოწვისას მიყენებული ტკივილი გადაივლის, მაღლობას მიუძღვნიან ექიმს გან-

ნით ენათესავება წმ. გრიგოლ ნოსელის ავთენტური თხზულების – „ღიდი კატექეტური სიტყვის“ ანალოგიურ თეზას. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ ფსევდოლოქროპირისეული ჰომილია ნამდვილად წმ. გრიგოლ ნოსელს უნდა ეკუთვნოდეს.

#### ლიტერატურა:

ბრეგაძე 1973 – ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა, ტ. I1, შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს: თ. ბრეგაძემ, მ. ქავთარიამ და ლ. ქუთათელაძემ, ელ. მეტრეველის რედაქციით (თბ., 1973).

კეკელიძე 1957: კ. კეკელიძე, უცხო ავტორები ძველ ქართულ ლიტერატურაში, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, V 1957, 3-114.

კოჭლამაზაშვილი 2002 – წმიდა გრიგოლ ნოსელი, ქადაგება ნათლისღების დღესასწაულზე, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და ლექსიკონი დაურთო ექვთიმე კოჭლამაზაშვილმა (თბ., 2002).

კოჭლამაზაშვილი 2008 – ექვთიმე კოჭლამაზაშვილი, წმიდა გრიგოლ ნოსელის „ღიდი კატექეტური სიტყვის“ ძველი ქართული თარგმანი: ქრისტიანულ-არქეოლოგიური ძიებანი 1 (თბ., 2008), 7-204

კოჭლამაზაშვილი 2009 – ექვთიმე კოჭლამაზაშვილი, ნათლისღების წინაღობის საკითხავი წმ. გრიგოლ ნოსელისა (მათე 3,17-ის განმარტება) და მისი ლიტერატურული პარალელები: ნელი მახარაძე, მარინა გიორგაძე (რედ.), „ბიზანტინოლოგია საქართველოში – 2“: პროგრამა „ლოგოსი“ (თბ., 2009) 350-357.

ოლაძე 2008 – კახა ოლაძე, „ჰაბო ტფილელის მარტივილობის“ ერთი ლიტერატურული წყარო, უ. „რელიგია“, № 1, 2007, 41-43.

შანიძე 1994 – უდაბნოს მრავალთავი, აკაკი შანიძისა და ზურაბ ჭუმბურიძის რედაქციით, გამოსაცემად მოამზადეს: ლ. ბარამიძემ, კ. დანელიამ, რ.

კურნებისათვის. სწორედ ასევე, როცა ძნელი მკურნალობით ბუნებისაგან გამოშორებულ იქნება მასში ჩაჭვდილი ბოროტება, რადგანაც ამით აღდგება აწ ცოდვაში მყოფთა პირველყოფილი უბიწო მდგომარეობა, ერთხმად შესწირავს ღმერთს მაღლობას ყველა ქმნილება.

ამრიგად, ღმრთის განკაცების საიდუმლოში ავტორი ჭვრეტს მის საბოლოო მიზანს – კაცთა განთავისუფლებას ბოროტისაგან, და თვით ბოროტების მოპოვნების (სატანის) განკურნებას [კოჭლამაზაშვილი 2008: 62-64].

ენუქაშვილმა, ი. იმნაიშვილმა, ლ. კიკნაძემ, მ. შანიძემ და ზ. ჭუმბურიძემ (თბ., 1994).

შარაშიძე 1954 – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერები, A კოლექცია, კორნელი კეკელიძის საერთო რედაქციით, ტ. IV, შეადგინა ქრისტინე შარაშიძემ (თბ., 1954).

ფსევდოოქროპირისეული ნათლისღების საკითხავის კრიტიკული ტექსტის წყაროები

U – A 1109 (უდაბნოს მრავალთავი, IX ს.)

T – A 19 (ტბეთის მრავალთავი, X ს.)

P – A 95 (პარხლის მრავალთავი, X ს.)

თქუმული წმიდისა მამისა ჩუენისა<sup>1</sup>

იოვანე ოქროპირისაჲ

ნათლისღებისათჳს

უფლისა ჩუენისა იესუ<sup>2</sup> ქრისტესისა<sup>3</sup>

იოვანეს მიერ იორდანესა<sup>4</sup> მდინარესა<sup>5</sup>

1. კაცნო ღმრთისმოყუარენო და ძმათმოყუარენო, მასპინძელ ექმნენით სიტყუათა ჩემთა და ყურნი თქუენნი განმარტენით<sup>6</sup> შეწყნარებად თქუმულთა ჩემთა და მიიღეთ ჩემგან ცხოველსმყოფელი სმენაჲ ქადაგებისა ნათლისღებისათჳს<sup>7</sup> უფლისა იორდანესა ზედა, რომელი-იგი ჩუენთჳს აღასრულა, რამეთუ შთასლვითა მისითა წყალთა მათ შინა უფროჲს კადნიერ ვიქმნენით მეცა და თქუენცა.

2. დაღათუ<sup>8</sup> დღესასწაული ესე გარდაკდეს მ ა ც ხ - ო ვ რ ი ს ა გ ა მ ო ჩ ი ნ ე ბ ი ს ა ჲ, არამედ მადლი იგი მისი<sup>9</sup> მარადის დადგრომილ არს ჩუენ თანა. ამისთჳსცა ვიშუებდეთ სინარულით, რამეთუ არა არს განცხრომაჲ ჩუენი უძლებებით, არამედ გალობით.

3. მოვედით ყოველნი გალილეაჲთ<sup>10</sup> ჰურიასტანად<sup>11</sup> და მივრბიოდით იესუჲს<sup>12</sup> თანა, რამეთუ ნეტარ არს, რომელი მოგზაურ ექმნეს თანა გზასა ცხორებისასა.

4. მოვედით და მივისწრაფოთ<sup>13</sup> იორდანედ და ვიხილოთ<sup>14</sup> ნათლისმცემელი იოვანე და მისგან ნათელღებული იესუ,<sup>15</sup>

1 წმიდისა მამისა ჩუენისა – T. 2 იესუ T. 3 ქრისტესა T, ქწსა P. 4 იოვანეს მიერ იორდანესა T, ო იორდანესა იოვანეს მიერ P. 5 მდინარესა – P. 6 განჰმარტენით PT. 7 ქადაგებისათჳს ნათლისღებისა P. 8 დაღათუ P ] და თუ T. 9 მისი – T. 10 გალილეაჲთ T. გალილეად (?) P. 11 ჰურიასტანად P. 12 იესუჲს T. 13 მივისწრაფოთ ] მივიწინეთ P. 14 ვიხილოთ + იორდანედ. და ვიხილოთ T. 15 იესუ T.

რომელსა-იგი არა უკმდა ნათლისღებაჲ, არამედ ნათლისღებისა მის მადლსა მოგუანიჭებს.

5. მოვედით და ვიხილოთ ჩუენისა ამის მეორედშობისა ხატი, აჩრდილად გამოჩინებული წყალთა შინა.

6. მას ჟამსა შინა<sup>1</sup> მოვიდა იესუ<sup>2</sup> გალილეაჲთ იორდანედ იოვანესა<sup>3</sup> ნათლისღებად მისგან. (1)

ჰ სიმდაბლწ უფლისაჲ<sup>4</sup> – გარდამოსლვაჲ მეუფისაჲ ზეცით! რამეთუ განკაცნა ჭეშმარიტად და მოვიდა იოვანესა.<sup>5</sup> არა შეძრნა ანგელოზთა ძალნი, არცა წინამცურვალნი<sup>6</sup> წარმოავლინნა<sup>7</sup> ანგელოზთა დასნი, არამედ სიმდაბლით მოვიდა და, ვითარცა ერთი მრავალთაგანი, შეერთო<sup>8</sup> ნათლისმღებელთა.<sup>9</sup> (259 P)

7. შეერთო ტყუეთა თანა განმათავისუფლებელი; შეეყო<sup>10</sup> საწყალობელთა მოწყალწ იგი; შეერაცხა წარწყმედულთა მათ ცხოვართა (186vT) მწყემსი იგი კეთილი, რომელი შეცთომილისათჳს<sup>11</sup> ცხოვრისა ზეცით ქუეყანად<sup>12</sup> გარდამოკდა და ცათა არა<sup>13</sup> დააკლდა; თანამოდგამ<sup>14</sup> ექმნა ქუეყანისა შობილთა ზეცისა იგი ნაყოფი,<sup>15</sup> უთესლოდ აღმოცენებული.<sup>16</sup>

8. ხოლო ნათლისმცემელმან იოვანე,<sup>17</sup> ვითარცა იხილა, იცნა იგი, რომელი<sup>18</sup> ვიდრე შობადმდევე<sup>19</sup> იცოდა და თაყუანის-სცა<sup>20</sup> მას; (2) შეძრწუნდა გონებითა, რამეთუ გულისქმა-ყო საღმრთოჲსა მის ბუნებისა სიმდაბლწ, და ვითარცა

1 შინა – P. 2 იესუ T. 3 იოვანესა P. 4 უფლისაჲ + და P. 5 იოვანესა P. 6 წინამცურვალნი P. 7 წარავლინნა P. 8 შეპრთო T. 9 ნათლისმღებელთა + და მოვიდა იოვანესა P. 10 ტყუეთა თანა განმათავისუფლებელი; შეეყო – T. 11 შეცთომილისათჳს T, შეცთომილისა მისთჳს P. 12 ქუეყანად – P. 13 არაჲ PT. 14 თანამოდგამ T. 15 ნაყოფი ] მეუფწ T. 16 აღმოცენებული P. 17 იოვანწ P. 18 რომელი ] რამეთუ P. 19 შობადმდევე T. 20 თაყუანი-სცა T.

(1) მათე 3,13. (2) იგულისხმება ლუკა 1,41.

მონამან უფლისმოყუარემან, შიშით და ძრწოლით<sup>1</sup> აღიმადლა კმაჲ თჳსი და ეტყოდა:

9. უფალო, მე შენგან მიკმს ნათლისღებაჲ, და<sup>2</sup> შენ ჩემდა მოხუალა? (1) რასა იქმ, უფალო ჩემო, რაჲსა<sup>3</sup> სცვალეჲ წესსა? რად მონათა თანა მონისა მოხუედ და ითხოვ, რომლისათჳს არა წადიერ ხარ?

მე შენგან მიკმს ნათლისღებაჲ და არა შენ ჩემგან;<sup>4</sup> რამეთუ მდაბალი იგი დიდისაგან იკურთხის და არა თუ დიდი იგი – მდაბლისაგან! გლახაკი იგი მდიდრისაგან მოიღებ<sup>5</sup> და არა თუ მდიდარი იგი – გლახაკისაგან! სნეული იგი მკურნალისაგან განიკურნის, და არა თუ მკურნალი<sup>6</sup> – სნეულისაგან! და რაჲლა-მე უფროჲსლა<sup>7</sup> შექმნული იგი შემოქმედისაგან დამტკიცების და არა თუ შემოქმედი – შექმნულისაგან!

10. მე შენგან მიკმს ნათლისღებაჲ, და<sup>8</sup> შენ ჩემდა მოხუალა? ანუ არა გიცი, ვინ ხარ შენ<sup>9</sup> და ვისგან გამოხუედ? დაღაცათუ<sup>10</sup> მე დამესწორე<sup>11</sup> სიმდაბლითა შენითა, ხოლო მე არა უვარ-ვეყო<sup>12</sup> სიმადლწ<sup>13</sup> ღმრთეებისა შენისაჲ, რამეთუ ჩემისა ცხორებისათჳს შეგიმოსიეს ჩემი ესე დასაბამი.

11. ანუ არა გიცი, ვინ ხარ შენ, რომელმან შეიმოსე<sup>14</sup> ნათელი, ვითარცა სამოსელი! (2) დაღაცათუ<sup>15</sup> კორცნი შეიმოსენ და კაცად იჩუენები. არამცა უწყოდეა, ვინ ხარ შენ,

1 ძწოლით P. 2 და – T. 3 რასა T. 4 და არა შენ ჩემგან P ] შენ ჩემდა მოხუალა? T. 5 მიიღებ P. 6 მკურნალი + იგი P. 7 უფროჲსლა P, უფროჲ T. 8 და – T. 9 ვინ ხარ შენ T, ~ შენ ვინ ხარ P. 10 დაღაცათუ P, დაღათუ T. 11 დამესწორწ T. 12 უვარ-ვეყო T, უვარ-ვეყავ P. 13 სიმადლწ T ] სიმდაბლწ P. 14 შეიმოსწ T. 15 დაღაცათუ P, დაღათუ T.

(1) მათე 3,14. (2) ფს. 103,2.

დალათუ ჩემითა ხატითა გხედავ შენ? უვარმცა-ვყავა<sup>1</sup> ღმრთეებაჲ შენი უხილავი?

12. გიცი შენ, უფალო ჩემო, ჭეშმარიტად<sup>2</sup> გიცი შენ, უფალო ჩემო, გამოცხადებით,<sup>3</sup> და შენგან ვისწავები,<sup>4</sup> რამეთუ არავის კელ-ეწიფების ცნობაჲ შენი თჳნიერ უწყებისა მამისა შენისა.

13. გიცი შენ, უფალო ჩემო, კეთილად, რამეთუ გიხილე (260P) შენ სულიერებრ და ვიდრე ხილვადმდე<sup>5</sup> გიცოდე შენ. (187T) შენ ხარ, რომელი იყავ უკორცოჲ წიაღთა მამისათა, და კორციელად – წიაღთა ქალწულისათა. გიცოდე შენ, ვიდრე ვიყავ-ლა<sup>6</sup> მე საშოსა ელისაბედისსა და შემდგომად შობისა, ვიდრე სიჩჩოსა და სიყრმესა შეპყრობილ ვიყავ, სინარულით დღესასწაულსა შენსა გარდავიკდიდი. ხოლო აწ, უკუეთუ შობისა შენისა მოსლვასა ვქადაგებდ, არცა<sup>7</sup> შემდგომად შობისა მოსლვაჲ შენი მიკურს.

14. რომელი სიჩჩოსა და სიყრმესა კელმწიფებისა შენისა წინამორბედ ვიყავ, აწ<sup>8</sup> ესერა, კუალად<sup>9</sup> ყრმად ჩჩულად<sup>10</sup> შევიქმნები და ვერ შეუძლებ მსახურებად შენდა, რომელსა თაყუანის-გცემენ<sup>11</sup> ყოველნი დაბადებულნი, და ვერცა ქადაგებასა შენსა ღირსად შემძლებელ ვარ, რომელი-იგი ცამან ვარსკულავისა მიერ გუაუწყა<sup>12</sup> და ქუეყანამან უწინარეს პატივ-გცა მოგუთა მათ მოსლვითა და წესნი ანგელოზთანი ზეგარდამო გაქებდეს და მწყემსნი გარე-მყოფნი<sup>13</sup> შესწირვიდეს შენდა კურთხევასა.

15. ვერ შემძლებელ ვარ შენ თანა დგომად, რამეთუ მე

1 უვარმცა-ვყავა T, უმეცარმცა-ვყავა P. 2 ჭეშმარიტად T ] გამოცხადებით P. 3 გამოცხადებით T ] ჭეშმარიტად P. 4 ვისწავები T, ვისწავებ P. 5 ხილვადმდევე P. 6 ვიყავ-ლა P, ვიყავ T. 7 არცაღა P. 8 აწ P ] აჰა T. 9 კუალად – T. 10 ჩჩულად P. 11 თაყუანის-გცემენ T, ] გამსახურებენ P. 12 აუწყა P. 13 გარე-მყოფნი T.

– კჳამ დალაღებისაჲ უდაბნოსა:<sup>1</sup> „განმზადენით<sup>2</sup> გზანი უფლისანი“. (1) რამეთუ, მე რაჲ ვიშევე, მშობელისა ჩემისა უშვილოებაჲ<sup>3</sup> ხოლო<sup>4</sup> განვჰკსენ და მამისა ჩემისა<sup>5</sup> უტყუებაჲ განვკურნე შენ მიერ მოღებითა საკურველებისა მადლისაჲთა, ხოლო შენ იშევე ქალწულისაგან, ვითარცა შენ მხოლომან იცი, და არა განჰხრწენ<sup>6</sup> ქალწულებაჲ მისი, არამედ დაამტკიცე<sup>7</sup> და უფროდღა დიდებასა მისსა<sup>8</sup> სახელისწოდებაჲ მიანიჭე,<sup>9</sup> რამეთუ არცა ქალწულებაჲ მისმან შობაჲ შენი დააყენა და არცა შობამან შენმან ქალწულებაჲ მისი განხრწნა,<sup>10</sup> არამედ ორნივე ესე, მკდომნი ურთიერთას, ერთად შეჰკრიბენ, რამეთუ ადვილ არს ესე შენ მიერ, შემოქმედისა ბუნებათაჲსა.

16. მე კაცი ვარ, საღმრთოჲსა ბრძანებისაგან შენივთებული, ხოლო შენ – ღმერთი ჭეშმარიტი და კაცი სრული. მე შენგან მიკმს ნათლისღებაჲ, და<sup>11</sup> შენ ჩემდა მოხუალა?

17. შენ ხარ, რომელი პირველითგანვე<sup>12</sup> იყავ ღმრთისა თანა და ღმერთ<sup>13</sup> იყავ მის თანა. (2)

შენ ხარ ნათელი დიდებისა მამისა<sup>14</sup> შენისაჲ.<sup>15</sup>

შენ ხარ ჭეშმარიტად მსგავსი მამისა;<sup>16</sup>

შენ ხარ ნათელი ჭეშმარიტი, რომელი განანათლებ ყოველსა კაცსა,<sup>17</sup> (vT) მომავალსა სოფლად. (3)

1 უდაბნოსა + ზედა P. 2 განმზადენით P, განმზადენით (?) T. 3 უშვილოებაჲ T. 4 ხოლო – P. 5 ჩემისა – T. 6 განჰკრწენ (?) T, განჰკსენ P. 7 დაამტკიცე P. 8 დიდებისა მისისა T, დიდებასა მისსა P. 9 მიანიჭე + მას P. 10 განკრწნა P. 11 და – T. 12 პირველითგან T. 13 ღმერთი P. 14 ამისა T. 15 მამისა შენისაჲ ] მამისაჲ P. 16 მამისაჲ P. 17 რომელი განანათლებ ყოველსა კაცსა – T.

(1) მათე 3,3; მარკ. 1,3; ლუკა 3,4; იოანე 1,23. (2) იოანე 1,1-2. (3) იოანე 1,9.

შენ ხარ, რომელი (261P) სოფელსა ამას იყავ და მოხუედ სოფლად, სადა-იგი იყავ.

შენ ხარ, რომელი კორციელ იქმენ, არამედ არა კორცად გარდაიცვალე.<sup>1</sup>

შენ ხარ, რომელი დაემკვდრე ჩუენ თანა, მონათა შენთა<sup>2</sup> ერუენე მონისა ხატითა.

შენ ხარ, რომელმან ცაჲ და ქუეყანაჲ კიდ ჰყავ კორციელად მოსლვისა შენისათჳს,<sup>3</sup> და შენ ჩემდა მოხუალა?

18. რომელი<sup>4</sup> ყოველთა დაბადებულთა მეუფე<sup>5</sup> ხარ და შემოქმედ,<sup>6</sup> მოხუალ<sup>7</sup> მონისა. დაღათუ კორცნი შეიმოსენ და დამსდაბლდი;<sup>8</sup> და<sup>9</sup> კაცთა თანა იქცეოდე და არა სირცხულ-გიჩნდა თჳსობაჲ მათი. ხოლო მე ბუნებისა ჩემისა საზომი<sup>10</sup> უწყი და არა მნებაჲს გარდასლვად,<sup>11</sup> რამეთუ ვიცი, ვინ ხარ შენ, და ვიცი, ვინ ვარ მე, და ვიცი, რავდენ<sup>12</sup> არს შორის მონისა და შორის შემოქმედისა. ვხედავ და უწყი, რამეთუ<sup>13</sup> ნათელი გაქუს შენ და სიმართლჳს. დაღათუ ღრუბლითა დაფარულ ხარ, ვიცი კელმწიფებაჲ შენი და აღვიარებ მონებასა ჩემსა. ვქადაგებ თავით თჳსით უძლურებასა ჩემსა და ვიტყვ: არა ღირს ვარ განკსნად კამლისსაბელთა ფერკთა შენთასა (1) და არცა<sup>14</sup> ვიკადრებ მიახლებად შენდა.

19. ვითარ განვირთხა მარჯუენჳს ჩემი შენ ზედა, რომელმან გარდაართხენ ცანი (2) და დააფუძნე ქუეყანაჲ! (3)

ვითარ განვიმარტნე თითონი ჩემნი საღმრთოსა მაგას ზედა თავსა შენსა?

1 გარდაიცვალჳს T. 2 შენთა – P. 3 შენისა T. 4 რომელი ]რამეთუ T. 5 მეუფჳს P. 6 შემოქმედი P. 7 მოხუედ T. 8 დამსდაბლდე T. 9 და – T. 10 საზომი ]სასოჲ P. 11 გარდასლვაჲ P. 12 რავდენ ]რაბაჲ T. 13 რამეთუ ]რომელი T. 14 და არცა ]დაღაცათუ P.

(1) ლუკა 3,16; იოვანე 1,27. (2) ფს. 103,2. (3) ფს. 118,90.

ვითარ განგბანო შენ, უბიწოჲ და შეუცოდებელი,<sup>1</sup> ანუ ვითარ ნათელ-გცე შენ, რომელი ხარ ნათელი საუკუნოჲ!

20. რამეთუ სხუათა ნათელ-ვსცემ<sup>2</sup> სახელითა შენითა, რაათა ჰრწმენჳს<sup>3</sup> შენი, რომელი<sup>4</sup> მოსლვად ხარ დიდებითა მამისაჲთა. ხოლო შენ ვისითა სახელითა<sup>5</sup> ნათელ-გცე?

– მამისაჲთა?<sup>6</sup> – არამედ აჰა ესერა მოგაქუს ერთარსებითა.

– ძისაჲთა-მე-ა? – რამეთუ არა ვიცი სხუაჲ ძჳს ბუნებით,<sup>7</sup> თუნიერ შენსა,<sup>8</sup> რომელი კორციელ იქმენ.

– ანუ სულისა წმიდისაჲთა?<sup>9</sup> – არამედ ესე შენ თანა არს მარადის განუშორებელად, თანაარსი და ერთპატივ, ყოველადძლიერი, რომელი შენ<sup>10</sup> თანა თაყუანის-იცემების<sup>11</sup> ყოველთაგან თანაერთობითა მამისაჲთა, რომელი ვიცი მიცემად მორწმუნეთა შენთა პირისა შენისაგან.

21. არამედ შენ მე ნათელ-მეც, უფალო, უკუეთუ ჯერ-გიჩნს.<sup>12</sup> განმანათლე მე, ნათლისმცემელი; განმახლე მე მეორედშობითა, რომელმან დაჰბადე შობაჲ. განმარტე<sup>13</sup> საშინელი (262P) მარჯუენჳს შენი, რომელი დიდებულ არს ძალითა, და გურგუ(188T)ნოსან მყავ მე<sup>14</sup> მიახლებითა შენითა, რაათა წინამორბედებითა<sup>15</sup> მეუფებისა შენისაჲთა გურგუნოსან ვიქმნე,<sup>16</sup> ვითარცა წეს<sup>17</sup> არს წინამსრბოლისაჲ,<sup>17</sup> რაათა ღალად-ვყო<sup>18</sup> კადნიერად: აჰა კრავი ღმრთისაჲ, რომელმან აიხუნეს ცოდვანი სოფლისანი. (1)

1 შეუგინებელი P. 2 ნათელ-ვსცემ ]ნათელ ვარ T. 3 ვრწმენჳს T. 4 რომელი ]რამეთუ T. 5 სახლითა P. 6 მამისაჲთა T. 7 ბუნებითა P. 8 ~ თუნიერ შენსა ბუნებით T. 9 წმიდისაჲთა-მე-ა P. 10 შენ – P. 11 თაყუანის-იცემების T. 12 ჯერ-გიჩნს T. 13 განჰმარტე T, განჰმარტჳს P. 14 მე – P. 15 წინამორბედითა T. 16 ვიქმნე ]ვიყო P. 17 წინამსრბოლისაჲ T, წინამორბედისაჲ P. 18 ვღალად-ვყო P.

(1) იოვანე 1,29.

22. და შენ, მდინარეო იორდანე,<sup>1</sup> გიხაროდენ ჩემ თანა, რამეთუ შემოქმედი შენი<sup>2</sup> მოვალს კორციოთა შენდა.<sup>3</sup> მაშინ სადამე იხილე შენ<sup>4</sup> ისრაჴლი წიაღმავალი და კიდობანი შჯულისაჲ შორის მისა.<sup>5</sup> და განიყავ<sup>6</sup> და უკუნ-იქეც და ელოდე წიაღმავალთა მათ განსლვასა.<sup>7</sup> (1) ხოლო აწ იხარებდ გამობრწყინებასა<sup>8</sup> თუთ უფლისასა და შემოსლვასა შენდა და<sup>9</sup> გარე-შეიმოსს<sup>10</sup> უბიწოსა მას გუამსა, რომელმან-იგი მაშინ ებრაელნი დაიმკუდრნა.<sup>11</sup>

23. იხარებდით მთანი და ბორცუნი, ღელენი და ქევინი, ზღუანი და მდინარენი და წყაროები აკურთხევდით უფალსა, რამეთუ შევიდა წყალთა მათ მდინარისათა და მათ ყოველთა წყალთა მიანიჭა განწმედაჲ.

24. მაშინ იესუ<sup>12</sup> ჰრქუა მას: აცადე, რამეთუ ესრე ჯერ-არს აღსრულებად ჩუენდა ყოველი სიმართლჴს. (1) აცადე და მიუშუ, ნათლისმცემლო, ჟამსა და სახელისა ჩემისაჲ დუმილი ისწავე, საქმჴს და ვითარსახედ მნებავს. ისწავე მსახურებაჲ და რომლისათუ-იგი მოსრულ ვარ, მიუტევე ნებასა თუსსა და ნულარა ჰქადაგებ ღმრთეებასა ჩემსა და მეუფებასა ენითა შენითა, ნუუკუე გულისხმა-ყოს მაცთურმან მან და ევლტოდის და დასცხრეს განზრახვისა მისგან, რომელი აქუს ჩემთუს. უტევე იგი და მოვიდეს ჩემდა და წინააღდგომით მიილოს ჩემგან წყლულებაჲ სრული.

25. მაცადე მე აღსრულებად საქმისა, რომლისათუ-იგი მოსრულ ვარ, რამეთუ საიდუმლოჲ არს დაფარული, რაჲთა ამას დღესა იორდანეს აღსრულოს ჩემთუს და ყოველთა

1 იორდანეო P. 2 შენი — T. 3 ~ შენდა კორციოთა P. 4 შენ — P. 5 მისა ] მათსა P. 6 განიყავ T, განიყავ P. 7 გასლვასა T, განსლვად P. 8 გამობრწყინებასა T. 9 და — P. 10 გარე-შეემოსე თ, გარე-შეემოსს P. 11 დაამხედრნა (?) T. 12 იესუ T.

(1) იხ. ისუ ნავ. 3,6-17. (2) მათე 3,15.

ჩემ-კერძოთათუს. საიდუმლოჲ არს დაფარული, არა თუ ნებაჲ ჩემი აღსრულებად, არამედ განკურნებისათუს წყლულებათა კაცთაჲსა. საიდუმლოჲ არს ღიდისა განზრახვისაჲ, ემბაზისაგან, წინამორბედო, და მქადაგებელო წინაცნობაჲ არს ამას შინა წყალთა მიერ ცხოველსმყოფელი კაცთა მეორედ შობაჲ მიცემად. მიუტევე მკლომი<sup>1</sup> იგი ნებასა თუსსა.

26. რაჟამს მიხილო მე ღმრთივშუენიერებით დიდებულთა თანა, რომელსა-იგი მოელიან მას ჟამსა შემკობისა (VT) ქებასა განმზადებად.

რაჟამს მიხილო მე კეთროვანთა განწმედასა, მას ჟამსა შემოქმედი ბუნებათაჲ აღიდე.

რაჟამს მიხილო მე მკუდართა აღდგინებასა, მას ჟამსა შეძრვითა ფერკთა შენთაჲთა ჩემისა გალობისათუს კმამალად ენაჲ შენი აღძარ.

რაჟამს მიხილო მე ეშმაკთა განსხმასა, მას ჟამსა მეუფებასა ჩემსა თაყუანის-ეც.

რაჟამს მიხილო მე საფლავით აღდგომილი, მას ჟამსა აღდგომილთა თანა მაკურთხევდ, ვითარცა ცხორებისა განმყოფელსა.

რაჟამს მიხილო მე მჯდომარჴს მარჯუენით მამისა, მას ჟამსა მიგალობდ მე ვითარცა თანამოსაყდრესა მამისასა. ხოლო აწ აცადე, რამეთუ ესრე ჯერ-არს ჩუენდა აღსრულებად ყოველი სიმართლჴს. (1) რამეთუ შჯულისმდებელი ვარ და ძჴს შჯულისმდებელისაჲ.

27. ჯერ-არს ჩემდა აღსრულებად ყოველი წესი და მერმე წინა-დადებად ყოველთა პატივისა ჩემისა მოძღურებაჲ.

1 მჯდომი (?) T.

(1) მათე 3,15.

ჯერ-არს ჩემდა აღსრულებად შჯული და მერმე მიცემად მადლი.

ჯერ-არს ჩემდა განქარვებად აჩრდილი და მერმე ზედა-შემოდებად ჭეშმარიტებაჲ.

ჯერ-არს ჩემდა აღებად ძუელი იგი აღთქუმაჲ და მერმე ახალი დადებად გულსა კაცთასა, დაწერად სისხლითა ჩემითა დაბეჭდვად სულითა ჩემითა.

ჯერ-არს ჩემდა ჯუარცუმაჲ და სამშჯულითა დამშჯულ-ვაჲ და ლახურითა წყლულებაჲ და წყლულებითა ჩემითა განკურნებად კაცთა წყლულებაჲ.

ჯერ-არს ჩემდა შთასლვაჲ ჯოჯოხეთა, საყოფელსა მას მაცთურისასა და აღმოყვანებაჲ მას შინა შეყენებულთაჲ.

ჯერ-არს ჩემდა სიკუდილი კორციითა და მესამესა დღე-სა აღდგომაჲ<sup>1</sup> და დაქსნაჲ<sup>2</sup> მრავალჟამისა იგი სიკუდილისა ძალი.

ჯერ-არს ჩემდა კორცთა ჩემთა სანთელი აღნთებად შეწყ-ლომილთათჳს ბნელსა და აჩრდილთა სიკუდილისათა.

ჯერ-არს ჩემდა აღმოყვანებაჲ ადამისი და ჩემითა მეუფე-ბითა დადგინებად იგი მეუფედ.<sup>3</sup>

ჯერ-არს ჩემდა ამის ყოვლისა ყოფაჲ, რამეთუ ამისთჳს მოსრულ ვარ ჩემთა დაბადებულთა თანა.

ჯერ-არს ჩემდა ნათლისღებაჲ<sup>4</sup> ესე აწ და მერმე, ამისა შემდგომად, — ერთარსებისა სამებისა სახელითა ნა(189 T)-ლისღებაჲ ყოველთა კაცთა მიმადლებად.

28. მავასხე მე აწ მარჯუნწ შენი, ვითარცა მავასხა მე შობისათჳს მუცელი ქალწულმან.

შთამიყვანე მე იორდანესა, ვითარცა მშობელმან ჩემმან

1 აღდგომად (?) T. 2 დაქსნად (?) T. 3 მეუფედ T. 4 ნათლის-ღებად T.

ჩჩულთა ყრმათა სახუევლითა<sup>1</sup> შემხვა მე.

ნათელ-მეც მე, ვითარცა-იგი ქალწულმან მაწოვა მე სძმ.

კელი შემახე და დამდეგ თავსა ჩემსა, რამეთუ რომელსა აქუნდეს ესე კეთილადმსახურებით, არაოდეს შეიმუსროს თავი მისი.

ნათელ-მეც მორწმუნეთა საუკუნოჲ ესე ნათლისცემაჲ წყლითა და სულითა და ცეცხლითა. წყლითა წმიდითა — ცოდვანი განბანად, ხოლო სულითა წმიდითა — მიწისაგანი ესე სულიერ-ყოფად, ხოლო ცეცხლითა მით ძლიერითა — უშჯულოებისა<sup>2</sup> იგი ეკალნი შეწუვად!

29. ვითარცა ესმეს სიტყუანი ესე უფლისანი ნათლის-მცემელსა, მიიღო საიდუმლოჲსა მის სწავლაჲ, მორჩილებით შეიწყნარა და ჰმსახურა საღმრთოსა მას ბრძანებასა, რამეთუ იყო იგი მოშიშ და მყუდრო,<sup>3</sup> და მიყო მარჯუნწ თჳსი ძწოლით და დუმილით და სიხარულით ნათელ-სცა უფალსა.

30. ხოლო რომელნი იყვნეს მუნ ჰურიათაგანნი, მახ-ლუელნი<sup>4</sup> და შორიელნი,<sup>5</sup> განიზრახვიდეს და იტყოდეს, რამეთუ: ცუდად გუეგონა, ვითარმედ იოვანე უფროჲს<sup>6</sup> არს იესუჲსა.<sup>7</sup> აჰა, თჳთ ნათლისღებაჲ მისი მოწამე არს.

ნათლისმცემელსა კეთილად ჰრწამს,<sup>8</sup> რამეთუ ერთსა ვისმე ნათელ-სცა, ვითარცა უზეშთაესსა,<sup>9</sup> ხოლო სხუათა ნათელ-სცემს, ვითარცა მდაბალთა.

და<sup>10</sup> ვერ გულისხმა-ეყო მათ<sup>11</sup> საიდუმლოჲ იგი მეუფისაჲ, რომელი-იგი მხოლოჲ არს უფალი და<sup>12</sup> ბუნებათა მამაჲ, რომელი-იგი მან მხოლომან<sup>13</sup> შვა მხოლოჲ უღმობელად.

1 სახუევლითა T. 2 უშჯულოებათა U. 3 მყუდრო U. 4 მახლუ-ელნი T ] მახლობელთაგანნი U. 5 შორიელთანი U. 6 უფროჲს T ] უმჯობეს U. 7 იესუჲსა T, იესუჲსო U. 8 ჰრწამ U. 9 უზეყთაე-სსა U. 10 და — U. 11 მათ ] მას U. 12 და — U. 13 მხოლომან — T.

31. შეცთომილი განზრახვად ჰურიათაჲ,<sup>1</sup> განახუნა მამამან ბჭენი ცათანი და გარდამოკდა სული წმიდაჲ მსგავსად ტრედისა და დაადგრა მის ზედა. და ვითარცა<sup>2</sup> თითითა საჩუენებელს ჰყოფდა ახალსა მას ნოვეს და კმაჲ იყო ზეცით მამისა მიერ და იტყოდა:<sup>3</sup>

ესე არს ძმ ჩემი საყუარელი, რომელი მე<sup>4</sup> სათნო-ვიყავ. (1)

ესე არს იესუ,<sup>5</sup> რომელმან ნათელ-ილო, და არა იოვანე, რომელმან ნათელ-სცა მას.

ესე არს, რომელი ჩემგან იშვა უწინარეს<sup>6</sup> ყოველთა საუკუნეთა [...] და არა რომელი-იგი ზაქარიაჲსგან გამოს-რულ.

ესე არს, რომელი ქალწულისა მარიამისგან იშვა კორციელად და არა რომელი-იგი ელისაბედისგან უშვილოე- (vT)ბისა სასოებასა<sup>7</sup> მას, არამედ უზრწნელისა<sup>8</sup> ქალწულისაგან<sup>9</sup> უშურომელი<sup>10</sup> იგი ნაყოფი.

ესე არს ძმ ჩემი საყუარელი, რომელი მე სათნო-ვიყავ; ძმ ჩემი, ბუნების მტე არსებითა და არა უცხო ჩემგან;<sup>11</sup> ძმ ჩემი მხოლოდშობილი, უხილავებრ და იგივე<sup>12</sup> მხოლოდ თქუენისა ხილვისაებრ უცოდველად.

ესე არს, რომელმან შექმნა კაცი და უქცეველად იქმნა კაც.

ესე არს ძმ ჩემი საყუარელი, რომელი მე<sup>13</sup> სათნო-ვიყავ;

1 ჰურიათათაჲ T. 2 ვითარცა – U. 3 მამისა მიერ და იტყოდა U ] და თქუა T. 4 მე – T. 5 იესუ T. 6 უწინარეს T U. 7 უშვილოე-ბისა სასოებასა ] უშვილოებასა U. 8 უკრწნელისა U. 9 ქალწულისაგან ] მამისაგან U. 10 უშურომელი T. 11 ძმ ჩემი, ბუნების მტე არსებითა და არა უცხო ჩემგან – T. 12 იგივე U ] იგი T. 13 მე – T.

(1) მათე 3,17.

32. არა სხუაჲ<sup>1</sup> არს, რომელი ჩემგან, და არა სხუაჲ არს, რომელი ქალწულისა მარიამისგან.

არა სხუაჲ არს, რომელი ქუაბსა შინა შობილ, და არა სხუაჲ არს, რომელი იორდანესა ზედა<sup>2</sup> წამებულ.

ესე არს ძმ ჩემი საყუარელი, რომელი მე სათნო-ვიყავ;

33. ნუ ეძიებთ ღმრთეებით<sup>3</sup> დედასა მისსა ცათა შინა, რამეთუ უდედო არს;<sup>4</sup> ნუცა ეძიებთ კორციელად<sup>5</sup> მამასა მისსა ქუეყანასა ზედა, რამეთუ უძამო არს.

34. ნუ განაშორებთ<sup>6</sup> ღმრთეებასა მისსა კაცებისა მისი-საგან, და ნუცა<sup>7</sup> განაყენებთ კაცებასა მისსა ღმრთეებისა მისისაგან, რამეთუ განუშორებელ არს შემდგომად შეერთე-ბისა.

35. ნუ ვინმე ერთი ღმერთი შიშუელი და ერთი კაცი ლიტონი ეწოდის<sup>8</sup> ქრისტესა, არამედ იგი თვთ თავადი ღმ-რთად და კაცად გრწმენინ, რამეთუ ესე ნათლისღებასა მას მხოლოდშობილისა მისასა იორდანესა ზედა კმა-ყო მამამან, ხოლო ფერისცვალებასა მას<sup>9</sup> მისსა მთასა თაბორსა, ჰხედ-ვიდეს<sup>10</sup> რაჲ მოწაფენი და გამობრწყინდა პირი მისი ვი-თარცა მზე, და<sup>11</sup> კუალად მოსცა კმაჲ თჳსი მამამან<sup>12</sup> და თქუა: ესე არს ძმ ჩემი საყუარელი, [რომელი]<sup>13</sup> მე სათნო-ვიყავ; მაგისი ისმინეთ (1) და გრწმენინ.

36. უკუეთუ თქუას – „რომელმან მიხილა მე, იხილა მამაჲ ჩემი“ (2) – მაგისი ისმინეთ.

უკუეთუ თქუას თუ<sup>14</sup> – „მე მამისა თანა ვარ და მამაჲ ჩემ თანა“ (3) – მაგისი ისმინეთ.

1 სხუაჲ ] მხოლოდ U. 2 ზედა – U. 3 ღმრთეებით U. 4 არს + და T. 5 კორციელებრ T. 6 განაშორებთ U. 7 ნუცა U ] ნუ T. 8 უწოდის (?) U. 9 მას – T. 10 ხედვიდეს U. 11 და – T. 12 ~ მამამან კმაჲ თჳსი U. 13 რომელი – T. 14 თუ – U.

(1) მათე 17,5. (2) იოვანე 14,9. (3) იოვანე 14,10.



[უკუეთუ თქუას – „ყოველი, რაოდენი<sup>1</sup> აქუს მამასა, ჩემი არს“ (1) – მაგისი ისმინეთ.]\*

37. უკუეთუ თქუას<sup>2</sup> – „მამაჲ ჩემი უფროჲს ჩემსა არს“<sup>3</sup> (2) – კორციელებისა<sup>4</sup> მისისა სახელისაებრ შეიწყნარეთ.

38.\*\* უკუეთუ თქუას – „ესე არს კორცი ჩემი, თქუენტოჲს მიცემული, და სისხლი ჩემი,<sup>5</sup> თქუენტოჲს დათხეული მისატევებელად ცოდვათა“, (3) – ვითარცა გიჩუენოს თქუენ, გულისხმა-ყავთ.

39. უკუეთუ თქუას – „შეწუხებულ არს სული ჩემი ვიდრე სიკუდილმდე“<sup>6</sup> (4) – კორცთა ბუნებისათჲს<sup>7</sup> გულისხმა-ყავთ და არა ღმრთეებისა.

40. უკუეთუ გრქუას თქუენ – „რამ თქუან ჩემოჲს, ძისა<sup>8</sup> კაცისა ყოფაჲ?“ (5) – მიუგეთ თქუენ პეტრეს<sup>9</sup> თანა: შენ ხარ ქრისტე,<sup>10</sup> ძმ ღმრთისა<sup>11</sup> ცხო(190T)ველისაჲ (6) და შენდა შუენის მამისა თანა<sup>12</sup> დიდებაჲ და პატივი და თაყუანისცემაჲ ერთბამად სულით წმიდითურთ აწ და მარადის და უკუნითი-უკუნისამდე, ამენ.

\* ეს აბზაცი T-ში გამოტოვებულია. \*\* ეს აბზაცი T-ში ერთი აბზაცით ქვევით არის გადატანილი („კორცთა ბუნებისათჲს გულისხმა-ყავთ და არა ღმრთეებისა“-ს შემდეგ).

1 რაოდენი U. 2 თქუას – U. 3 ~ არს ჩემსა U. 4 კორციელობისა U. 5 ჩემი – U. 6 სიკუდილმდე T. 7 ბუნებისა მისოჲს U. 8 ძისა + ამის T. 9 პეტრეს U. 10 ქრისტე T. 11 ღმრთისაჲ U. 12 მამისა თანა – U.

(1) იოვანე 16,15. (2) იოვანე 14,28. (3) მათე 26,26-28. (4) მათე 26,38. (5) მათე 16,13; მარკ. 8,27. (6) მათე 16,16.